

## Magic Card

### საკრედიტო ბარათის პირობები

წინამდებარე პირობები წარმოადგენს კლიენტის საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს. ის განსაზღვრავს საკრედიტო ბარათით სარგებლობასთან დაკავშირებულ არსებით საკითხებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კლიენტი დეტალურად გაეცნოს მას და შეინახოს მისი ერთი ასლი.

ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე ნებისმიერ დროს კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს წინამდებარე პირობების ასლი, რომელიც გადაეცემა უფასოდ. ამასთან, წინამდებარე პირობები ხელმისაწვდომი იქნება ჩვენს ვებ გვერდზე - [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge).

#### 1. შესავალი

- 1.1 წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საკრედიტო ბარათის მომსახურების პირობებს (შემდგომში - "პირობები").
- 1.2 ბანკსა და კლიენტს შორის საკრედიტო ბარათით სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში "ხელშეკრულება"), რომელიც შედგება:
  - 1.2.1 კლიენტის მიერ შევსებული და მხარეების მიერ ხელმოწერილი განაცხადისგან;
  - 1.2.2 მხარეთა შორის გაფორმებული საკრედიტო ბარათი Magic Card-ით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებისგან;
  - 1.2.3 წინამდებარე პირობებისაგან;
  - 1.2.4 საკრედიტო ბარათით სარგებლობის ბანკში დადგენილი ტარიფებისაგან, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს;
  - 1.2.5 ბანკში არსებული ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებისგან.
- 1.3 წინამდებარე პირობების საგანს წარმოადგენს:
  - 1.3.1 ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად კლიენტისთვის საკრედიტო ბარათის ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვება;
  - 1.3.2 კლიენტის მიერ მისი საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის წესების განსაზღვრა; და
  - 1.3.3 მხარეთა მიერ ამ პირობებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების წესის განსაზღვრა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საკრედიტო ლიმიტის, მასზე დარიცხული პროცენტის, საკომისიოს, გადახარჯული თანხის და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დავალიანების გადახდის წესების განსაზღვრას.
- 1.4 კლიენტი ვალდებულია წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურების გამოყენებისთვის ყურადღებით გაეცნოს წინამდებარე და ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებს და სრულად შეასრულოს ისინი. იგი ასევე პასუხისმგებელია დამატებითი ბარათის მფლობელების მიერ ხსენებული პირობების გაცნობასა და მათ სრულად შესრულებაზე.
- 1.5 საკრედიტო ბარათის განაცხადის ხელმოწერით კლიენტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
  - 1.5.1 საკრედიტო ბარათის განაცხადი შეავსო სრულად;
  - 1.5.2 მის მიერ განაცხადში შევსებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი;

- 1.5.3 განაცხადის ხელმოწერამდე სრულად გაეცნო წინამდებარე პირობებს, ტარიფებსა და ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებს;
- 1.5.4 წინამდებარე პირობებსა ან ხელშეკრულებაში არ არსებობს გაურკვევლი პუნქტი და ხელშეკრულებას განიხილა ბანკის შესაბამის წარმომადგენელთან და სრულად მისაღებია მისთვის; და
- 1.5.5 შესაბამისი ველის მონიშვნის შემთხვევაში თანახმაა ბანკში არსებული მისი ნებისმიერი ანაბარი გამოყენებულ იქნას წინამდებარე საკრედიტო ლიმიტის უზრუნველყოფის საშუალებად.

## 2. გამოყენებული ტერმინები

2.1 წინამდებარე პირობებში ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ექნება შემდეგი მნიშვნელობა, თუ ამას სხვაგვარად არ ითვალისწინებს კონტექსტი.

<b>ავტორიზაცია</b>	თანხმობა საბანკო ოპერაციის განხორციელებაზე;
<b>არასამუშაო დღე</b>	შაბათ - კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები;
<b>ბანკი ან მხარე</b>	სს “ლიბერთი ბანკი”, რეგისტრაციის თარიღი: 27 მარტი, 1995 წელი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304, საბანკო ლიცენზია: #0110247, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის 74; ტელ: 255 55 00; ფაქსი: 255 55 04; ელ-ფოსტა: <a href="mailto:info@libertybank.ge">info@libertybank.ge</a> ;
<b>დაანგარიშების თარიღი</b>	ყოველი თვის ბოლო კალენდარული დღე;
<b>გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი ან გადახარჯული თანხა</b>	საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის შედეგად დაშვებულ საკრედიტო ლიმიტსა და საკრედიტო ბარათით რეალურად გახარჯულ თანხას შორის არსებული სხვაობა;
<b>გადახდის პერიოდი</b>	პერიოდი ყოველი თვის პირველი კალენდარული დღიდან ოცდახუთი (25) რიცხვის ჩათვლით, როდესაც კლიენტს აქვს მინიმალური გადასახადის გადახდის ვალდებულება. თუ გადახდის პერიოდის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს გადახდის პერიოდი სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს;
<b>განაცხადი ან საკრედიტო ბარათის განაცხადი</b>	ბანკის მიერ შემუშავებულ ფორმაში შევსებული და ხელმოწერილი კლიენტის წერილობითი მოთხოვნა საკრედიტო მომსახურების მიღების შესახებ;
<b>ვადაგადაცილების თარიღი</b>	გადახდის პერიოდის ბოლო დღის მომდევნო დღე, თუ საკრედიტო ბარათზე ნებისმიერი სახის დავალიანების არსებობის შემთხვევაში კლიენტი გადახდის პერიოდში არ გადაუხდის ბანკს სულ მცირე

	მინიმალურ გადასახადს;
<b>ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი</b>	როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1;
<b>ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო</b>	როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1;
<b>ვადაგადაცილებული დავალიანება</b>	კლიენტის სრული დავალიანება ბანკის წინაშე, რომელიც არ არის გადახდილი წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში;
<b>კლიენტი ან მხარე</b>	პირი, რომლის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მითითებულია განაცხადში, რომლის საფუძველზე ბანკის თანხმობით სარგებლობს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურებით ან/და პროდუქტებით;
<b>კლიენტის დეფოლტი</b>	ბანკის მიმართ კლიენტის ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებებისა;
<b>ლარი</b>	საქართველოს ოფიციალური ვალუტა;
<b>ლიბერთი ანგარიში</b>	ბანკში არსებული კლიენტის მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში;
<b>ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობები</b>	ლიბერთი ანგარიშის მომსახურების ბანკის მიერ დადგენილი პირობები, რომელიც ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს;
<b>მინიმალური გადასახადი</b>	საკრედიტო ბარათის მეშვეობით ათვისებული თანხის ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური ოდენობა, რომელიც მოიცავს: ა) საკრედიტო ბარათზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხის 10%-ს (ათი პროცენტი), ბ) საკრედიტო ბარათზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებულ თანხაზე ტარიფების შესაბამისად დარიცხულ პროცენტს, გ) ტარიფების შესაბამისად დარიცხულ ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დ) გადახარჯულ თანხას; ე) საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტს (ასეთის არსებობისას); ვ) განვლილ საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში წარმოშობილ და დაუფარავ ვადაგადაცილებულ დავალიანებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ზ) განვლილ საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში ბანკის

	მიერ დაურიცხავ ან გადავადებულ ნებისმიერ სხვა გადასახდელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
<b>მხარეები</b>	ბანკი და კლიენტი ერთობლივად;
<b>ნულოვანი პროცენტის პირობა</b>	პირობა, რომლითაც კლიენტი უფლებამოსილია უპროცენტოდ ისარგებლოს საკრედიტო ლიმიტით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული პირობა დგება იმ შემთხვევაში, თუ: ა) საკრედიტო ბარათის ანგარიშის ნაშთი დაანგარიშების თარიღზე არის ნულის ტოლი ან დადებითი; ან ბ) კლიენტი გადახდის პერიოდში სრულად დაფარავს დაანგარიშების თარიღისთვის საკრედიტო ბარათიდან ათვისებულ თანხას, რომელიც გადახდის პერიოდში შესაძლებელია დაიფაროს როგორც ერთიანად ასევე ნაწილ-ნაწილ;
<b>საანგარიშგებო პერიოდი</b>	მოიცავს ერთ კალენდარულ თვეს – თვის პირველი კალენდარული დღიდან ბოლო კალენდარული დღის ჩათვლით;
<b>საბანკო პლასტიკური ბარათი ან საბანკო ბარათი ან პლასტიკური ბარათი</b>	ბანკის მიერ კლიენტზე ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად გაცემული VISA Classic-ის ან/და MasterCard Standard-ის ტიპის საბანკო პლასტიკური ბარათი, რომლით სარგებლობისა და უსაფრთხოების პირობები განისაზღვრება ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
<b>საკრედიტო ბარათი ან Magic Card</b>	ბანკის მიერ კლიენტისთვის დამზადებული, როგორც ძირითადი, ისე ნებისმიერი დამატებითი საბანკო პლასტიკური ბარათი, რომელზეც დაიშვება ბანკის მიერ განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტი;
<b>საკრედიტო ბარათის გაუქმება</b>	საკრედიტო ბარათის მოქმედების შეწყვეტა;
<b>საკრედიტო ბარათის დეფოლტი</b>	კლიენტის მიერ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების გადაუხდელობა, რომელიც უწყვეტად გრძელდება ვადაგადაცილების თარიღიდან სულ მცირე 60 (სამოცი) დღე მაინც;
<b>საკრედიტო ბარათის დეფოლტის პირგასამტეხლო ან დეფოლტის პირგასამტეხლო</b>	როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1;
<b>საკრედიტო ლიმიტი</b>	თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს ბანკის მიერ საკრედიტო ბარათზე

	დაშვებული საკრედიტო რესურსით;
საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება	საკრედიტო ლიმიტის გახარჯვის უფლების შეჩერება;
საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა	საკრედიტო ბარათზე დაშვებული ლიმიტის ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხის ნებისმიერი სახით გამოყენება;
საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტი ან გადახარჯვის პროცენტი	როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1;
საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა	12 (თორმეტი) თვე საკრედიტო ბარათის გაცემის ან საკრედიტო ლიმიტის ბანკის მიერ გადახედვის თარიღიდან, თუ ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე რაიმე სხვა არ არის განსაზღვრული.
საპროცენტო განაკვეთი ან პროცენტი	როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1;
სრული დავალიანება	კლიენტის მიერ საკრედიტო ბარათის სარგელობასთან დაკავშირებული ბანკის წინაშე წარმოქმნილ კლიენტის ვალდებულებათა ერთობლიობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ პროცენტს, პირგასამტეხლოსა და საკომისიოებს (მათი არსებობის შემთხვევაში);
ხელშეკრულება	ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება საკრედიტო ბარათი Magic Card-ით მომსახურების შესახებ;
VISA P2P სერვისი	VISA-ს საერთაშორისო საგადასახდელი სისტემაში ჩართული ერთი საბანკო ბარათიდან მეორე საბანკო ბარათზე თანხის გადარიცხვის შესაძლებლობა ბანკომატის მეშვეობით.

2.2 წინამდებარე პირობებსა და ლიბერთი ანგარიშის პირობებში ერთი და იგივე ტერმინების არსებობისას ტერმინს ენიჭება შესაბამის პირობებში მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ტერმინი უნდა განიმარტოს სხვა პირობებით მისთვის მინიჭებული მნიშვნელობით ან მისი

საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით.

**3. მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია და საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები**

### 3.1. საკრედიტო ლიმიტი

- 3.1.1. განაცხადის შევსებით კლიენტი ადასტურებს თავის ნებას მიიღოს საკრედიტო ბარათი და მასზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტი.
- 3.1.2. კლიენტის მიერ განაცხადის ან/და ხელშეკრულების ხელმოწერა არ ავალდებულებს ბანკს უპირობოდ გაუწიოს კლიენტს წინამდებარე პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 3.1.3. საკრედიტო ლიმიტის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებული მოთხოვნის გათვალისწინებით.
- 3.1.4. საკრედიტო ბარათზე საკრედიტო ლიმიტი მტკიცდება საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადით. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ლიმიტი უზრუნვეყოფილია ანაბრით, მისი მოქმედების ვადა წყდება ანაბრის მოქმედების ვადის ბოლო დღეს ან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღზე. მიუხედავად წინამდებარე პუნქტის დებულებებისა, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად განსაზღვროს საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ნებისმიერი სხვა ვადა.
- 3.1.5. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საკრედიტო ლიმიტის გაზრდა ან შემცირება, მაგრამ ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის

გაზრდის ან შემცირების შესახებ, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას. კლიენტს საკრედიტო ლიმიტის გადახედვისთვის დაეკისრება ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მიუხედავად საკრედიტო ლიმიტის გადახედვის შედეგისა.

- 3.1.6. თუ კლიენტი საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობით არ მოითხოვს საკრედიტო ლიმიტის შეწყვეტას (და შესაბამისად საკრედიტო ბარათის გაუქმებას), ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ლიმიტის მოქმედების თითოეული ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში თავისი შეხედულებისამებრ გადახედოს კლიენტის საკრედიტო ბარათის ლიმიტს და დაამტკიცოს (ან არ დაამტკიცოს) ის საკრედიტო ლიმიტის მოქმედების მომდევნო ვადით. საკრედიტო ლიმიტის გადახედვისთვის ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მიუხედავად საკრედიტო ლიმიტის გადახედვის შედეგისა.
- 3.1.7. ბანკი უფლებამოსილია, რომ კლიენტის მოთხოვნის ან ბანკის მიერ მისთვის ყოველგვარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე ნებისმიერ დროს გაზარდოს ან შეამციროს კლიენტის საკრედიტო ლიმიტი, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას.
- 3.1.8. ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის გაცემამდე ან გაცემის შემდგომ

ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს საკრედიტო ლიმიტის უზრუნველყოფა ანაბრის სახით, რა შემთხვევაშიც კლიენტი ვალდებულია 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს ასეთი უზრუნველყოფა. თუ კლიენტი ვერ შეძლებს აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალების წარმოდგენას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს გახარჯული საკრედიტო ლიმიტი სრულად მასზე დარიცხული პროცენტების, პირგასამტეხლოების, საკომისიოების და ნებისმიერი სხვა გადასახდელების ჩათვლით.

3.1.9. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა ანაბრის თანხიდან, იმ შემთხვევაში თუ ანაბრით უზრუნველყოფილი საკრედიტო ლიმიტით მოსარგებლე კლიენტი დაარღვევს წინამდებარე პირობებს.

3.1.10. კლიენტი არ არის უფლებამოსილი იქონიოს 100 (ასი) ლარზე მეტი ოდენობის დადებითი ნაშთი საკრედიტო ბარათის ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის საკრედიტო ბარათის ანგარიშზე ნებისმიერ დროს აღმოჩნდება 100 (ასი) ლარზე მეტი ოდენობის დადებითი ნაშთი, ბანკი უფლებამოსილია ასეთი ჭარბი თანხა უაქცეპტოდ გადარიცხოს კლიენტის ლიბერთი ანგარიშზე.

3.1.11. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი საკრედიტო ლიმიტის გადახედვის შედეგად შეუმცირებს კლიენტს საკრედიტო ლიმიტს და კლიენტის მიერ ათვისებული თანხა აჭარბებს ახლად დამტკიცებულ

შემცირებულ საკრედიტო ლიმიტს, ბანკი მისცემს კლიენტს სესხს ახლად დამტკიცებული ლიმიტს გადაჭარბებული თანხის ოდენობით. ასეთი სესხით კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს სარკედიტო ბარათის დავალიანება ისე, რომ მან არ იქონიოს საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა. კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას ხელი მოაწეროს წინამდებარე პირობით გათვალისწინებული მოქმედების წარმატების შესასრულებლად საჭირო ყველა დოკუმენტს.

### 3.2 პროცენტის დარიცხვა

3.2.1 თუ კლიენტი არ ისარგებლებს ნულოვანი პროცენტის პირობით, ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დარიცხოს და საკრედიტო ლიმიტიდან დაფაროს განვლილი საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის კუთვნილი პროცენტი.

3.2.2 პროცენტი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე დაანგარიშებით.

3.2.3 ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს პირგასამტეხლო, როგორც საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხის ძირზე და გადახარჯულ თანხაზე, ასევე მათზე შესაბამისად დარიცხულ საპროცენტო განაკვეთზე, საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტზე, ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტზე და ვადაგადაცილების ფიქსირებულ პირგასამტეხლო(ებ)ზე.

3.2.4 ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის ანგარიშიდან პროცენტი (ისევე

როგორც საკრედიტო ბარათზე რიცხული ნებისმიერი სხვა გადასახდელი) ჩამოჭრას იმ შემთხვევაშიც, თუ საკრედიტო ბარათზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი პროცენტის დასაფარად. ამ შემთხვევაში საკრედიტო ბარათის ნაშთი გადააჭარბებს დაშვებულ საკრედიტო ლიმიტს და მოხდება საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა.

**3.3 საკრედიტო ბარათით გახარჯული თანხის გადახდა**

3.3.1 საკრედიტო ლიმიტის სრულად ან ნაწილობრივ ათვისების შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ყოველთვიურად გადახდის პერიოდის განმავლობაში გადაიხადოს სულ მცირე საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დარიცხული მინიმალური გადასახადი.

3.3.2 საკრედიტო ლიმიტის გადახდა განხორციელდება ლიბერთი ანგარიშზე თანხის შეტანის ან ჩამოწერის და მისი შემდგომ ბანკის მიერ უაქცეპტო წესით საკრედიტო ბარათის ანგარიშზე გადატანის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ლიმიტის გადახდა განხორციელდა VISA P2P სერვისის მეშვეობით გადარიცხვით, მაშინ საკრედიტო ლიმიტის თანხები აისახება უშუალოდ საკრედიტო ბარათის ანგარიშზე.

3.3.3 ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი თანხების საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დროულად ასახვისთვის. ნებისმიერი შეფერხებისთვის რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კლიენტის საკრედიტო ანგარიშზე თანხის ასახვის დაგვიანება

პასუხს აგებს კლიენტი, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, კლიენტის ვალდებულებას გადაიხადოს ასეთი შეფერხების შედეგად მის ანგარიშზე დარიცხული სრული დავალიანება ან ბანკის მიერ დადგენილი მისი რაიმე ნაწილი.

3.3.4 დავალიანების დაფარვისას გადასახდელი თანხა იფარება შემდეგი თანმიმდევრობით:

- (i) საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტი;
- (ii) ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი;
- (iii) ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტემხლო(ები);
- (iv) გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი;
- (v) საპროცენტო განაკვეთი;
- (vi) დავალიანების ძირითადი თანხა.

ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს გადახდის სხვა თანმიმდევრობა.

3.3.5 კლიენტს არ დაერიცხება პროცენტი საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებულ თანხაზე თუ კლიენტი ისარგებლებს ნულოვანი პროცენტის პირობით. ნულოვანი პროცენტის პირობა არ ვრცელდება გადახარჯულ თანხაზე.

3.3.6 კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადაუხადოს ბანკს საკრედიტო ბარათის ანგარიშზე წარმოქმნილ მინიმალურ გადასახადზე მეტი.

3.3.7 მინიმალური საკრედიტო გადასახადის გადახდის პერიოდის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს



საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება ან/და კლიენტს დააკისროს პირგასამტეხლო ტარიფებით დადგენილი ოდენობით.

3.3.8 ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის და ნებისმიერი პირგასამტეხლოს სრულად გადახდა და კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მოთხოვნილი თანხები.

### 3.4 ვადაგადაცილება და სანქციები

3.4.1 კლიენტი ვალდებულია, რომ წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში გადაიხადოს საკრედიტო ბარათზე არსებული თავისი დავალიანება.

3.4.2 კლიენტი ვალდებულია, რომ საკრედიტო ბარათი განკარგოს საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში და არ განახორციელოს საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა. ბანკის თანხმობის გარეშე განხორციელებული კრედიტის გადახარჯვისთვის ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს პირგასამტეხლო ტარიფების შესაბამისად, რაც ბანკის მიერ დადგენილ ვადაში უნდა იქნას გადახდილი კლიენტის მიერ.

3.4.3 საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის შემთხვევაში კლიენტმა ბანკის მიერ მითითებულ ვადაში უნდა დაფაროს გადახარჯული თანხა სრულად.

3.4.4 გადახდის პერიოდის განმავლობაში მინიმალური გადასახადის გადაუხდელობისას ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს საკრედიტო

ბარათი და დააკისროს კლიენტს შესაბამისი პირგასამტეხლო.

3.4.5 საკრედიტო ლიმიტის ვადის განმავლობაში თუ კლიენტს აღენიშნება 30 დღე ან მეტი ვადაგადაცილება, ბანკი უფლებამოსილია: ა) მოითხოვოს საკრედიტო ბარათის ლიმიტის დაუყოვნებლივ სრულად დაფარვა, ბ) შეაჩეროს საკრედიტო ბარათის მოქმედება ან/და გ) მოახდინოს საკრედიტო დავალიანების რესტრუქტურირზაცია ჩვეულებრივ სამომხმარებლო არარეკოლვირებად სესხად, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას და რის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია ხელი მოაწეროს ამ ქმედების შეუფერხებლად განხორციელებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტს.

3.4.6 საკრედიტო ბარათის დეფოლტის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს საკრედიტო ბარათი და დაარიცხოს კლიენტს დეფოლტის პირგასამტეხლო. ბარათის გაუქმება იწვევს ამ პირობებით გათვალისწინებული მომსახურების შეწყვეტას.

3.4.7 ბანკი უფლებამოსილია კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს ან გააუქმოს საკრედიტო ბარათი ან შეამციროს საკრედიტო ლიმიტი ან/და მოითხოვოს კლიენტის მიერ ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტებთან პირგასამტეხლოსთან და საკომისიოსთან ერთად, თუ: ა) კლიენტი დაარღვევს

წინამდებარე პირობებს; ან ბ) გაუარესდება მისი ფინანსური მდგომარეობა ან დადგება მისი გაუარესების საფრთხე; ან გ) ბანკის შეხედულებით ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესდა) საერთო ეკონომიკური მდგომარეობა; ან დ) კლიენტის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისაკენ, ან აღმოჩნდება რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია არასრულია ან/და მცდარია.

3.4.8 ბანკის მიერ საკრედიტო ლიმიტის ბლოკირების, გაუქმების ან/და წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ბანკის წინაშე არსებული ყოველგვარი დავალიანება. ბანკი უფლებამოსილია ასეთი დავალიანება უაქცეპტო წესით ჩამოჭრას კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან. თუ კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

3.4.9 კლიენტის დეფოლტის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს კლიენტს გახარჯული საკრედიტო ლიმიტის ბანკის მიერ დადგენილ ვადაში სრულად დაფარვა; ბ) დააკისროს წინამდებარე პირობებით დადგენილი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი სანქცია; ან/და გ) საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულება.

### 3.5 ნებადართული ოპერაციები

3.5.1 კლიენტი უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის ანგარიშზე განახორციელოს მხოლოდ შემდეგი ოპერაციები:

- (i) საქონლის ან/და მომსახურების შეძენა სავაჭრო მომსახურების ობიექტებში (როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთ), ინტერნეტით და სხვა დისტანციური არხ(ებ)ის მეშვეობით;
- (ii) თანხის განაღდება ბანკომატის/პოს ტერმინალის მეშვეობით;
- (iii) კომუნალური და სხვა გადასახდელების გადახდა ბანკომატისა და ინტერნეტის მეშვეობით;
- (iv) საკრედიტო ბარათის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ან სალაროში შეტანის გზით განთავსება;
- (v) VISA საკრედიტო ბარათიდან სხვა VISA ბარათზე გადარიცხვა VISA P2P სერვისის მეშვეობით;
- (vi) არსებული საკრედიტო ბალანსის ან/და ხელმისაწვდომი ნაშთის შემოწმება.

### 3.6 საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები

3.6.1 საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები განისაზღვრება დანართით #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობებისა და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.6.2 ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დაარიცხოს ტარიფების შესაბამისად განსაზღვრული პროცენტი, მომსახურების საკომისიო, ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი, სხვა საჯარიმო სანქცია და ნებისმიერი გადასახდელი.

3.6.3 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს დანართით #1 განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურების ტარიფი (მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი), რის შესახებაც არანაკლებ ერთი თვით ადრე უნდა მოახდინოს კლიენტის ინფორმირება პრესაში, ტელევიზიაში, საკუთარ ვებ-გვერდზე, ბანკის სრულყოფილ ერთეულში განცხადების განთავსების გზით, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ბანკომატების ქსელის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტით შეტყობინების გაგზავნით. თუ კლიენტი არ დაეთანხმება აღნიშნულ ცვლილებებს, იგი ვალდებულია მათ ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ ბანკს და სრულად მოახდინოს არსებული დავალიანების დაფარვა და საკრედიტო ბარათის დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ იგი ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

### 3.7 საკრედიტო ლიმიტის ვალუტა და უცხო ვალუტაში წარმოებული ტრანზაქციები

3.7.1 საკრედიტო ლიმიტის ვალუტა არის ლარი.

3.7.2 თუ კლიენტი რაიმე ტრანზაქციას განხორციელებს ლარის გარდა ნებისმიერ სხვა ვალუტაში, ტრანზაქციის

განსახორციელებლად საჭირო თანხები კონვერტირებული იქნება ლარში. კონვერტაცია მოხდება ბანკის მიერ ტრანზაქციის ბანკის ელექტრონულ სისტემაში გატარების თარიღისთვის არსებული კურსით, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს კლიენტის მიერ ტრანზაქციის განხორციელების თარიღის კურსისგან.

3.7.3 კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ტრანზაქციების მიმართ ბანკი გამოიყენებს თავის მიერ დადგენილ გაცვლით კურსს.

3.7.4 კლიენტი თანახმაა, რომ ნებისმიერი ცვლილება გაცვლით კურსში ტრანზაქცი(ებ)ის მიმართ გამოიყენება დაუყოვნებლივ, კლიენტისთვის ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე. განახლებული გაცვლითი კურსი იქნება გამოყენებული შესაბამისი ტრანზაქცი(ებ)ის შედეგად გახარჯული თანხების კონვერტაციისას. ნებისმიერი ტრანზაქციის შედეგად გახარჯული თანხის კონვერტაციისას გამოყენებული გაცვლითი კურსი შესაძლოა არ დაემთხვეს ასეთი ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებულ კურსს, რადგან თანხის კონვერტაციისას გამოიყენება იმ დღის გაცვლითი კურსი, როდესაც ტრანზაქცია გატარდება ბანკის ელექტრონულ სისტემაში.

### 3.8 პასუხისმგებლობა

3.8.1 ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტი პასუხისმგებელი და ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი

გადახდის პერიოდის ბოლო დღისა გადაუხადოს ბანკს თავის საკრედიტო ბარათის ანგარიშზე რიცხული შემდეგი დავალიანებები:

- (i) კლიენტის ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ კლიენტის საკრედიტო ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქცი(ებ)ის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი დავალიანება, მაშინაც კი თუ ბარათი გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისთვის იქნება გაუქმებული და ხელშეკრულება შეწყვეტილი;
- (ii) ნებისმიერი სხვა პირის მიერ განხორციელებული ოპერაცი(ებ)ისთვის, თუ კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი ნებას დართავს ასეთ პირს განხორციელოს ტრანზაქცია;
- (iii) კლიენტის ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევით განხორციელებულ ტრანზაქციებზე;
- (iv) კლიენტის ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ნებისმიერი მესამე პირისთვის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე ასეთი პირის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საკრედიტო ბარათის, მისი ნებისმიერი ნომრის ან კოდის მოპარვის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებს.

**3.9 ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ**

3.9.1 ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დოკუმენტაცია კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რა შემთხვევაშიც კლიენტი ვალდებულია ბანკის მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია.

3.9.2 თუ კლიენტი ბანკის მიერ დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს ბანკის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, ბანკი უფლებამოსილია განხორციელოს კლიენტის საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება ან/და გააუქმოს კლიენტის საკრედიტო ბარათი და მოითხოვოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის მის მიერვე დადგენილ ვადებში დაფარვა.

**3.10 თანხების უაქცეპტო წესით ჩამოჭრა**

3.10.1 კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებაზე საკრედიტო ბარათზე გადახდის პერიოდის ვადაგადაცილებისთანავე კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ანგარიშებიდან ან აუთვისებელი საკრედიტო ლიმიტიდან მისი დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას თანხები პირობების შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი დავალიანების დასაფარავად. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშზე რიცხული ან საკრედიტო ლიმიტის თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განხორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისთვის ბანკში დადგენილი კურსით, რომლის ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოეჭრება კლიენტს ანგარიშიდან.

- 3.10.2 ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.
- 3.10.3 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას ბანკში ამავდროულად გააჩნია ნებისმიერი სახის უზრუნველყოფილი სესხი, ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის ანგარიშზე რიცხული დავალიანების თანხა დაფაროს უზრუნველყოფილი სესხის თანხიდან. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც ბანკი მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ქმედების წარმატებით შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე პუნქტი და პირობების სხვა შესაბამისი პუნქტები მიჩნეულ იქნება როგორც ცვლილება შესაბამის სესხის ხელშეკრულება(ებ)ში და ბანკი უფლებამოსილი იქნება საკრედიტო ბარათის დავალიანება სრულად გადაფაროს უზრუნველყოფილი სესხის მეშვეობით.
- 3.11 დამატებითი ბარათები**
- 3.11.1 კლიენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ბანკს მესამე პირისთვის დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება და გადაცემა, რისთვისაც ის ანიჭებს ბანკს სრულ უფლებამოსილებას დაამზადოს დამატებითი ბარათ(ებ)ი და გადასცეს კლიენტის მიერ მითითებულ პირ(ებ)ს.
- 3.11.2 დამატებითი ბარათის საშუალებით მესამე პირს მიეცემა უფლება ისარგებლოს კლიენტის საკრედიტო ლიმიტით და ამ ბარათ(ებ)ზე სრულად ვრცელდება საკრედიტო ბარათით მომსახურების წინამდებარე პირობები და ხელშეკრულება.
- 3.11.3 კლიენტი ვალდებულია სრულად გააცნოს დამატებითი ბარათის მფლობელს წინამდებარე პირობები.
- 3.11.4 დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და თანხების დაბრუნებაზე პასუხს აგებს კლიენტი.
- 3.11.5 დამატებითი ბარათის მეშვეობით წარმოებული საბანკო ოპერაციების შედეგად თანხების ბრუნვა აისახება კლიენტის საკრედიტო ბარათის ანგარიშზე. კლიენტის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ბარათების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 (სამი) ბარათს თითოეული საკრედიტო ბარათის ანგარიშზე.
- 3.11.6 ბანკი უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი უთხრას კლიენტს დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადებასა და ნებისმიერი მესამე პირისთვის გადაცემაზე, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას.
- 3.12 ავტორიზაცია**
- 3.12.1 ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის მეშვეობით გადახდის დასრულებამდე მოითხოვოს თავის მხრივ საბანკო ოპერაციის წინასწარი ავტორიზაცია.

3.12.2 ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციის ავტორიზაციაზე, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა კლიენტს საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ტრანზაქციის განხორციელებისთვის საჭირო თანხა ან/და იმყოფება ვადაგადაცილებაში. აღნიშნული შეზღუდვის გარეშე შესაძლოა განხორციელდეს ტექნიკური სირთულეების, თანხის დატაცების თავიდან აცილების ან ნებისმიერი სხვა მსგავსი მიზეზის გამო. კლიენტი თანახმაა ასეთ შეზღუდვაზე და პრეტენზიას არ გამოთქვამს ბანკის მიერ ტრანზაქციის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

### 3.13 შეღავათიანი პირობები და წამახალისებელი აქციები

3.13.1 ბანკი უფლებამოსილია, რომ საკრედიტო ბარათის პროდუქტთან მიმართებაში კლიენტისთვის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე გამოიყენოს წამახალისებელი აქციები, საკრედიტო ბარათის პირობებზე თუ ტარიფებზე კლიენტისთვის დროებითი თუ მუდმივი ხასიათის შეღავათიანი პირობების დაწესებით. კლიენტის მიერ ასეთი წამახალისებელი აქციების დროს საკრედიტო ბარათით სარგებლობა გულისხმობს მის თანხმობას ასეთი აქციების პირობებზე.

3.13.2 ბანკი იტოვებს უფლებას გამოიყენოს კლიენტის ფოტოსურათი, სახელი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები თავისი ნებისმიერი მარკეტინგული მასალების მიზნებისთვის (რაც

შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის სარეკლამო კამპანიას, პრომო აქციებს და ა.შ.), რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას.

### 3.14 შეტყობინების ვალდებულება

3.14.1 ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი პერიოდულობით განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ბანკის მიერ დადგენილი სხვა საშუალებით აცნობოს კლიენტს საკრედიტო ბარათის ანგარიშზე არსებული დავალიანების შესახებ. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ შეტყობინების მიღებაზე და ასეთი შეტყობინების მიუღებლობა არ ათავისუფლებს კლიენტს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის და ნებისმიერი სხვა გადასახდელის გადახდის ვალდებულებისგან. კლიენტი ვალდებულია მინიმალური გადასახდელი თანხის შესახებ ნებისმიერი მიზეზით ბანკისგან შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში, თავად დაუკავშირდეს ბანკს და მოითხოვოს ინფორმაცია თავისი მიმდინარე და სრული დავალიანების ოდენობისა და ვადების შესახებ.

3.14.2 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს საკრედიტო ბარათის განაცხადში მითითებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

## 4. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

**4.1 კონფიდენციალურობა**

4.1.1 მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის რეპუტაციას, დაიცვან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის (პირობების) საიდუმლოება, გარდა წინამდებარე პირობებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**4.2 პირადი ინფორმაციის გამოყენება**

4.2.1 ბანკს უფლება აქვს გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს ბანკის ხელთ არსებული ინფორმაცია კლიენტის შესახებ, კლიენტის საკრედიტო ბარათის და საკრედიტო ბარათის საშუალებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ კლიენტის მიერ ნებარდართულ პირებს, ბანკის შვილობილ და მონათესავე საწარმოებს, ბანკის მომწოდებლებს და ასევე იმ ორგანიზაციებს რომლებიც იღებენ საკრედიტო ბარათს, როგორც საქონლის ან მომსახურების შესყიდვის დროს ანგარიშსწორების საშუალებას და რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია შენატანის განხორციელება საკრედიტო დავალიანების თანხის დასაფარად.

4.2.2 კლიენტის საკრედიტო ბარათის და ლიბერთი ანგარიშის სათანადოდ ადმინისტრირების და მომსახურების მიზნით, ბანკს უფლება აქვს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღოს ინფორმაცია კლიენტის, კლიენტის საკრედიტო ბარათის ან/და საკრედიტო ბარათის საშუალებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ წინამდებარე

პირობების 4.2.1 ქვეპუნქტში მითითებული პირობებისგან.

4.2.3 ბანკს უფლება აქვს, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას, გამოიყენოს ინფორმაცია კლიენტის და კლიენტის საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ და გადასცეს აღნიშნული ინფორმაცია ბანკის შვილობილ და მონათესავე საწარმოებს მათ მიერ სხვადასხვა მომსახურების შემოთავაზებების მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია ბანკის მიერ მოპოვებული იქნება სხვადასხვა წყაროებიდან, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს კლიენტის მიერ შევსებულ საკრედიტო ბარათის განაცხადს, კლიენტის მიერ საკრედიტო ბარათით განხორციელებული ოპერაციებიდან, გამოკითხვებიდან და კვლევებიდან (რომელიც მოიცავს კლიენტთან დაკავშირებას ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის, ტელეფონის ან სხვა საშუალებით), ასევე ინფორმაცია მიღებული სხვა გარე წყაროებიდან, მათ შორის რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებს და მარკეტინგულ ორგანიზაციებს.

4.2.4 ბანკის მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება ბანკის და საკრედიტო ბარათის მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის

კლიენტის შესახებ ბანკში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე ბანკს ცალმხრივად აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით.

4.2.5 თუ კლიენტი თვლის, რომ კლიენტის შესახებ ბანკში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ.

### 4.3 კრედიტინფო საქართველო

4.3.1 კლიენტი და დამატებითი ბარათის მფლობელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, მათი დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

(i) საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში სს „კრედიტინფო საქართველოს“ მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, კლიენტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო

დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

(ii) მისცეს თანხმობა სს „კრედიტინფო საქართველოს“, რომ ბანკის მიერ სს „კრედიტინფო საქართველოსათვის“ მიწოდებული კლიენტების ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელების მონაცემები ს.ს. „კრედიტინფო საქართველომ“ გადასცეს მესამე პირებს, იმ პირობით, რომ ბანკის მიერ მიწოდებული კლიენტის ან ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირებისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან სს „კრედიტინფო საქართველოს“ აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება სს „კრედიტინფო საქართველოსთან“;

(iii) მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში არსებული კლიენტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის მონაცემები.

### 5. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

5.1 წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების



ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

5.3 თუ მხარეები 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებას ვერ მიაღწევენ მოლაპარაკების გზით, ისინი უპირობოდ თანხმა არიან, შეიტანონ საჩივარი შესაბამისი იურისდიქციის მქონე საქართველოს სასამართლოში.

## 6. დასკნითი დებულებები

### 6.1 უფლებამოსილებათა გადაცემა

6.1.1 ბანკის წინასწარი შეტყობინების გარეშე კლიენტი უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს.

6.1.2 იმ შემთხვევაში თუ ბანკი გამოიყენებს 6.1.1 პუნქტში მითითებულ უფლებას ან დააპირებს ამ უფლების გამოყენებას, კლიენტი თანხმობას აძლევს რომ ბანკს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია გადასცეს კლიენტის ან/და კლიენტის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია სხვა მესამე პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს. აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას კლიენტის კანონის მიერ უფლებებზე.

### 6.2 ხელშეკრულების პირობების დამოუკიდებლობა

6.2.1 თუ წინამდებარე პირობების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას პირობების დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

### 6.3 სათაურები და განმარტება

6.3.1 წინამდებარე პირობებში აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ აქვს ზეგავლენა ხელშეკრულების პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

### 6.4 საკრედიტო ბარათის მოქმედების შეჩერება

6.4.1 უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, თუკი წარმოიქმნება ეჭვის საფუძველი, რომ საკრედიტო ბარათი შეიძლება გამოყენებულ იქნას არასანქცირებულად ან/და თაღლითურად, ასევე თუკი ბანკს მიაჩნია, რომ კლიენტი ვერ შეძლებს საკრედიტო დავალიანების სრულად ან/და დროულ დაფარვას, ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად, წინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე შეწყვიტოს საკრედიტო ბარათის მოქმედება. ასეთ შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეატყობინოს მიღებული გადაწყვეტილების მიზეზის შესახებ.

6.4.2 ბანკის მიერ წინამდებარე პირობების 6.4.1 ქვეპუნქტში მითითებული უფლების გამოყენება არ იწვევს ხელშეკრულების

შეწყვეტას ვიდრე კლიენტი სრულად არ დაფარავს თავის საკრედიტო დავალიანებას, იგი გაგრძელებულად ითვლება იგივე პირობებით და კლიენტი ვალდებულია სრულად შეასრულოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ყველა და ნებისმიერი ვალდებულება.

6.4.3 ბანკს უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეწყვეტილი საკრედიტო ბარათის მოქმედება აღადგინოს თუკი წინამდებარე პირობების 6.4.1 ქვეპუნქტში აღნიშნული შეწყვეტის საფუძვლები აღარ იარსებებს და კლიენტის მიერ მოწოდებული იქნება ინფორმაცია აღნიშნული შეწყვეტის საფუძვლების არარსებობის შესახებ.

## 6.5 საკრედიტო ბარათის პირობების ცვლილება და შეტყობინებები

6.5.1 ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ პირობების ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს კლიენტს ბანკის საინფორმაციო საშუალებების (ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის და ა.შ) მეშვეობით.

6.5.2 კლიენტის მიერ ბანკიდან ელექტრონული სახით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა.

6.5.3 ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ შეტყობინებების მიუღებლობაზე თუკი იგი გაგზავნილი იქნა იმ მისამართზე ან იმ საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც

კლიენტის მიერ წინასწარ არის მითითებული.

6.5.4 კლიენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ბანკის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოთხოვნილი იქნება ბანკის მიერ ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

6.5.5 თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით.

## 6.6 უფლებების გამოუყენებლობა

6.6.1 ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ გულისხმობს ამგვარ უფლებებზე ან/და მათ შემდგომ გამოყენებაზე უარის თქმას.

6.6.2 ყველა დანარჩენი საკითხი რაც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე პირობებით რეგულირდება ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობების შესაბამისად.

## 6.7 ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი

6.7.1 კლიენტი უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში 30 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით ბანკის ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების

საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [pretenzia@libertybank.ge](mailto:pretenzia@libertybank.ge) ბანკში დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

6.7.2 ბანკის მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 14 დღეს.

6.7.3 კლიენტს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ბანკის მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას ბანკის ვებ-გვერდის [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) საშუალებით.

## 6.8 ხელშეკრულების შეწყვეტა

6.8.1 კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ სრულად გადაიხდის საკრედიტო ლიმიტის ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ სარგებელსა და ასევე პირგასამტეხლოებს. წინამდებარე ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ რაც კლიენტი სრულად დაფარავს დავალიანებას და დაუბრუნებს ბანკს საკრედიტო ბარათს და ყველა დამატებით ბარათს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.8.2 ბანკს უფლება აქვს შეტყობინების გაგზავნის გარეშე ცალმხრივად

შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. ბანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა არ ათავისუფლებს კლიენტს პასუხისმგებლობისგან შეასრულოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საკრედიტო ლიმიტის ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული სარგებლისა და პირგასამტეხლოების გადახდას.

6.8.3 ბანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ბანკის მიერ დადგენილ ვადაში დაფაროს მასზე რიცხული დავალიანება სრულად.

6.8.4 ბანკს უფლება აქვს კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, თუ ჩათვლის საჭიროდ, ცალმხრივად შეწყვიტოს ან შეაჩეროს საკრედიტო ბარათის მოქმედება ან/და არ მისცეს ავტორიზება კლიენტის მიერ საკრედიტო ბარათით განხორციელებულ ოპერაციებს, რაზედაც ბანკი არ აგებს პასუხს. ბანკის მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება არ წყვეტს ხელშეკრულების მოქმედებას და არ ათავისუფლებს კლიენტს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

# MAGIC CARD

## საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #1 - ტარიფები

ძირითადი ბარათი / დამატებითი ბარათი	
ბარათის მოქმედების ვადა	4 წელი
დამზადების ღირებულება	უფასო
წლიური მომსახურების საკომისიო (თითოეულ ბარათზე)	20 ლარი
დაკარგული / დაზიანებული ბარათის აღდგენის საკომისიო	20 ლარი
საკრედიტო ლიმიტის პირობები	
საკრედიტო ლიმიტის მოცულობა	დგინდება ინდივიდუალურად: 200-დან - 5,000 ლარამდე
დამტკიცების საკომისიო	20 ლარი
წლიური საპროცენტო განაკვეთი	36.00%
საკრედიტო ბარათის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1. 2.
მ7 ანაზრის კლიენტებისთვის	28.00%
პირადი ბანკირის სამსახურის კლიენტებისთვის	24.00%
ლიბერთი ანგარიშის ყველა მომსახურებით მოსარგებლე კლიენტებისთვის	32.00%
საკრედიტო ლიმიტის განაღდებას საკომისიო	
ლიბერთი ბანკის ბანკომატებში და სერვის ცენტრებში	3.00% მინ. 3.00 ლარი
სხვა ბანკის ბანკომატებში და სერვის ცენტრებში	4.00% მინ. 4.00 ლარი
ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა	
საქართველოში	უფასო
საზღვარგარეთ	უფასო
ბარათის გამოყენების დღიური ლიმიტები	
განაღდებას ოპერაციები	2,000 ლარი
გადახდის ოპერაციები	5,000 ლარი
ბარათიდან ბარათზე თანხის გადარიცხვა - VISA P2P სერვისი	
ლიბერთი ბანკის ბარათზე	3.00% მინ. 3.00 ლარი
წმარტივი ბარათზე	3.00% მინ. 3.00 ლარი
სხვა ბანკის ბარათზე	4.00% მინ. 4.00 ლარი
საჯარიმო სანქციები	
ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო	20 ლარი
ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი	0.50% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მინიმალური გადასახადის ძირითადი სესხის ნაწილის დაუფარავი ოდენობიდან
საკრედიტო ბარათის დეფოლტის პირგასამტეხლო (ერთჯერადი)	50 ლარი
საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტი	გადახარჯული თანხის წლიური 32.00% დაანგარიშებული გადახარჯვიდან ყოველ კალენდარულ დღეზე
სხვა პირობები	
ბარათის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა	უფასო
ბარათის საერთაშორისო სტოპ სიაში ჩასმა	80 ლარი
საკრედიტო ბარათის ფინანსური ხარჯები	